ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 462

22 სექტემბერი
"___" _____ 2023 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ჩიტაიას ქუჩა №17-ში, მე-2 სართულზე არსებული 338.74 კვ.მ. ფართის (საკადასტრო კოდი: №01.16.06.006.008.01.506) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი მწვანე სახლისთვის" (ს/ნ. 205270570) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6, მე-8 პუნქტების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 და 12 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ჩიტაიას ქუჩა №17-ში, მე-2 სართულზე არსებული 338.74 კვ.მ. ფართის (საკადასტრო კოდი: №01.16.06.006.008.01.506) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი მწვანე სახლისთვის" (ს/ნ. 205270570) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 20 სექტემბრის №23.1367.1528 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ჩიტაიას ქუჩა №17-ში, მე-2 სართულზე არსებული 338.74 კვ.მ. ფართის (საკადასტრო კოდი: №01.16.06.006.008.01.506) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი მწვანე სახლისთვის" (ს/ნ. 205270570) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხი, ფსიქოლოგიური ცენტრის ფუნქციონირების მიზნით.

2. უსასყიდლო უზუფრუქტის ვადა განისაზღვროს 2 (ორი) წლის ვადით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე